



Samsung Electronics Co., Ltd.

129, Samsung-ro,
Yeongtong-gu,
Suwon-si, Gyeonggi-do,
16677,
Republic of Korea
www.samsung.com



Samsung electronics GmbH

Am Kronberger Hang 6, 65824
Schwalbach am Taunus,
Germany



გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ ამ ინსტრუქციას პროდუქტის სწორად გამოყენებისათვის.






eIFU indicator

2023-06 (v 4.1)

1. ინფორმაცია ინსტრუქციის შესახებ




1.1 სიმბოლოები

ინსტრუქციაში გამოყენებული სიმბოლოები

სიმბოლო	სახელი	განმარტება
	გაფრთხილება	აღნიშნავს შიგთავსს, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ რათა თავიდან აირიდოთ რაიმე სახის პრობლემა ან არაზუსტი გაზომვა სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციის არასწორი გამოყენებით.
	მწარმოებელი	აღნიშნავს სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციის მწარმოებელს.
	გამოყენების ინსტრუქცია	აღნიშნავს, რომ მომხარებელმა უნდა წაიკითხოს ინსტრუქცია ყურადღებით პროდუქტის პირველად გამოყენებამდე.
	ავტორიზებული წარმომადგენელი	აღნიშნავს ინფორმაციას ავტორიზებული წარმომადგენლის შესახებ.

სიმბოლოები, რომლებიც გამოიყენება სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციაში

სიმბოლოები, რომლებიც გამოიყენება სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციაში შესაძლოა შეიცვალოს

სიმბოლო	სახელი	აღწერა
	გაფრთხილება	აღნიშნავს შიგთავსს, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ რათა თავიდან აირიდოთ რაიმე სახის პრობლემა ან არაზუსტი გაზომვა სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციის არასწორი გამოყენებით.
	გაფრთხილება	აღნიშნავს შიგთავსს, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ რათა თავიდან აირიდოთ რაიმე სახის პრობლემა ან არაზუსტი გაზომვა სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციის არასწორი გამოყენებით.
	პულსის სიხშირე	აღნიშნავს გულის ცემის სიხშირეს (პულსს) სისხლის წნვის გაზომვისას.

1.2 გამოყენების ინსტრუქცია წარმოდგენილია ელექტრონული ფორმით

სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციის ინსტრუქცია წარმოდგენილია ელექტრონული ფორმით და ხელმისაწვდომია სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციასა და სამსუნგის

ოფიციალურ ვებ-გვერდზე: Samsung.com

თუ გესაჭიროებათ ინსტრუქცია ქალაქის ფორმით შეგიძლიათ მიმართოთ სამსუნგის ოფიციალურ წარმომადგენლობას თქვენს ქვეყანაში.

2. მიზანი და დანიშნულება

სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია წარმოადგენს პროგრამას, მობილური სამედიცინო აპლიკაციის სახით, რომელიც გამოიყენება და თავსებადია სამსუნგის Galaxy Watch მოწყობილობებისა და სმარტფონებისათვის რათა აღწეროთ, შეინახოთ და გადახედოთ ინფორმაციას სისხლის წნევის შესახებ. სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია აჩვენებს სისტოლიკურ და დიასტოლიკურ სისხლის წნევას და ასევე გულის ცემის სიხშირეს და ასევე ანხორციელებს მიღებული მაჩვენებლების დამახსოვრებას და მათი ისტორიის შენახვას შესაბამის დიაგრამაში. მონაცემები გროვდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მომხმარებელი მოსვენებით მდგომარეობაშია.

სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია გამოიყენება რეცეპტის გარეშე 22 წლის ასაკიდან. შესაძლოა მან არ წარმოადგინოს ზუსტი მაჩვენებლები ორსულ ქალებში. ეს ინფორმაცია შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც დამატებითი დაკვირვების მექანიზმი პროფესიონალი ექიმის მხრიდან წნევის გაზომვებს შორის. მომხმარებელმა არ უნდა მიიღოს კლინიკური ზომები მოწყობილობის მიერ ნაჩვენებ ინფორმაციაზე დაყრდნობით პროფესიონალი ექიმის კონსულტაციის და წნევის სტანდარტული გზით გაზომვის გარეშე. სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია არ არის შექმნილი იმისათვის, რომ ჩაანაცვლოს ჰიპერტენზიის დიაგნოსტიკის ტრადიციული მეთოდიკა.

3. უკუჩვენებები

არ გამოიყენოთ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია თუ 22 წელზე ნაკლებს ხართ.



არ გამოიყენოთ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია თუ ორსულად ხართ.

არ გამოიყენოთ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია თუ გაქვთ რომელიმე ჩამოთვლილთაგანი:

- არითმია
- გულის უკმარისობა ან ინფარქტი
- პერიფერიული სისხლძარღვების დაავადება ან კომპრომეტირებული ცირკულაცია
- სარქლოვანი დაავადება (აორტის სარქვლის დაავადებები)
- კარდიომიოპათია
- სხვა ცნობილი კარდიოვასკულური დაავადება
- თირკმელების უკმარისობის ბოლო ეტაპი
- დიაბეტი
- ნევროლოგიური აშლილობა (მაგალითად ტრემორი)
- კოაგულაციის დარღვევა, ან იღებთ დანიშნულ სისხლის გამხსნელებს
- ტატუ (ები) მაჯაზე სადაც ატარებთ Galaxy Watch-ს

4. გაფრთხილება

გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული გაფრთხილებები. თუ გაფრთხილებებს არ გაითვალისწინებთ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია ვერ მოახდენს სწორ გაზომვას.

	<p>სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციას არ შეუძლია დაადგინოს ჰიპერტენზია, სხვა პირობები ან შეამოწმოს გულის შეტევის ნიშნები. სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია არ არის გათვლილი კვალიფიციური ჯანდაცვის პროფესიონალის მიერ დიაგნოზის ან მკურნალობის ტრადიციული მეთოდების ჩანაცვლებისათვის. თუ ფიქრობთ, რომ სამედიცინო გადაუდებელი შემთხვევა გაქვთ, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ გადაუდებელ სასწრაფო დახმარების სერვისებს.</p>
	<p>ნუ შეცვლით მედიკამენტებს ან დოზას ექიმთან კონსულტაციის გარეშე.</p>
	<p>ნუ მოახდენთ შედეგების ინტერპრეტაციას და ნუ მიიღებთ კლინიკურ მოქმედებას სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციის მაჩვენებლების საფუძველზე, კვალიფიციური ჯანდაცვის პროფესიონალთან კონსულტაციის გარეშე.</p>
	<p>არ გამოიყენოთ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია ჰიპერტენზიის ან სხვა გულთან დაკავშირებული ან სხვა სახის ჯანმრთელობის მდგომარეობის დიაგნოსტიკისათვის.</p>
	<p>არ გამოიყენოთ Galaxy Watch-ის სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია თუ Galaxy Watch დაკალიბრებულია სხვა ადამიანზე გამოყენებისათვის.</p>
	<p>არ განახორციელოთ სისხლის წნევის გაზომვა რაიმე სახის ფიზიკური დატვირთვის დროს.</p>
	<p>არ განახორციელოთ სისხლის წნევის გაზომვა როდესაც Galaxy Watch არის ძლიერ ელექტრომაგნიტურ ველთან ახლოს (მაგ. მაგნიტურ-რეზონანსული (MRI) ან რენტგენის აპარატურა, ელექტრომაგნიტური ქურდობის საწინააღმდეგო სისტემები და მეტალოდეტექტორები).</p>
	<p>უსაფრთხოების მიზნით, ყოველთვის დააწყვილეთ Galaxy-ის სმარტფონი და Galaxy Watch ბლუთუსით პირად სივრცეში (სახლში). არ არის რეკომენდირებული დაწყვილება საჯარო სივრცეში.</p>
	<p>არ განახორციელოთ სისხლის წნევის გაზომვა სამედიცინო პროცედურების დროს (მაგალითად ქირურგიული ჩარევა ან გარე დეფიბრაციის პროცედურები).</p>
	<p>არ განახორციელოთ სისხლის წნევის გაზომვა თუ Galaxy Watch იმყოფება ქვემოთმოცემული კონდიციების მიღმა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტემპერატურა: 54 °F - 104 °F / 12 °C - 40 °C • ტენიანობა: 30% – 90% ფარდობითი ტენიანობა



სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციის მაჩვენებლების დიაპაზონი ასეთია:

- კალიბრაციის დიაპაზონი - სისტოლური: 80–170 mmHg, დიასტოლური: 50–110 mmHg
- გაზომვის დიაპაზონი - სისტოლური: 70–180 mmHg, დიასტოლური: 40–120 mm Hg

5. დაწყება

სისხლის წნევის აპლიკაცია („BP App“) შედგება Galaxy ტელეფონის აპლიკაციასა (BP-Android) და Galaxy Watch აპლიკაციისგან (BP-Tizen/Wear OS). აპლიკაციზე წვდომა შესაძლებელია Samsung Health Monitor აპლიკაციის საშუალებით. სისხლის წნევის აპლიკაცია მოითხოვს Galaxy Watch Active2-ს ან Galaxy Watch 3-ს Tizen-ის 4.0.0.8 ან უფრო ახალ ვერსიით, ან Galaxy Watch 4-ს ან უფრო ახალ მოდელს Wear OS 3.0-ით, რომელიც დაწყვილებულია Samsung Galaxy ტელეფონთან Android 9 Pie-ით ან უფრო ახალი ვერსიით.

სანამ გამოიყენებთ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციას აუცილებელია:

1. დააყენოთ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციაში Galaxy Watch-ზე.
2. დაინსტალიროთ სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაცია Galaxy სმარტფონში.
3. დააკალიბროთ Galaxy Watch ზედა მკლავის, მანუეტის ან, ელექტრონული წნევის საზომი აპარატის მეშვეობით.

5.1 სისხლის წნევის ფუნქციის დაყენება

სანამ შეძლებთ სისხლის წნევის გაზომვას საჭიროა სისხლის წნევის პროფილის დაყენება და Galaxy Watch-ის კალიბრაცია.

1. დარწმუნდით რომ თქვენი Galaxy Watch დაკავშირებულია ბლუთუსით Galaxy სმარტფონთან რათა მოახდინოთ სისხლის წნევის გაზომვა.
2. თუ Galaxy Watch-ში დაყენებულია სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაცია, გახსენით ეს აპლიკაცია, აირჩიეთ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია და მიჰყევით ეკრანზე გამოსულ ინსტრუქციას.

თუ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია ჯერ არ არის დაყენებული Galaxy სმარტფონში, დააყენეთ სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაცია Galaxy-ის მაღაზიიდან და შემდეგ დააყენეთ Galaxy Wearable აპლიკაციის უახლესი ვერსია. ახალი ვერსიის დაყენების შემდეგ გახსენით სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაცია და მიჰყევით ეკრანზე გამოსულ ინსტრუქციას.

► სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციის პროფილის დაყენებისათვის თქვენს Galaxy სმარტფონზე

1. გადმოიწერეთ სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაცია Google Play მაღაზიიდან ან Galaxy მაღაზიიდან.
2. დაადასტუროთ და დაასრულოთ პროფილის დაყენება და დაეთანხმეთ პირობებს და კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

3. აირჩიეთ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია და მოახდინეთ Galaxy Watch-ის კალიბრაცია

5.1.1 Galaxy Watch-ის კალიბრაცია



ზუსტი გაზომვების განსახორციელებლად მოახდინეთ Galaxy Watch-ის კალიბრაცია. კალიბრაციის დაწყებამდე წაიკითხეთ ინსტრუქცია, რომელიც თან ახლავს სისხლის წნევის მონიტორს და დარწმუნდით რომ იცით, თუ როგორ გამოიყენოთ ის.

შენიშვნა 1: თქვენ იყენებთ ზედა მკლავის მანჟეტთან, ელექტრონულ წნევის საზომ აპარატს მხოლოდ Galaxy Watch-ის კალიბრაციისათვის. კალიბრაციის შემდეგ წნევის გასაზომად საკმარისია მხოლოდ Galaxy Watch.

Note 2: კალიბრაციის დროს Galaxy Watch ახდენს აპლიკაციის პარამეტრების კონკრეტულად იმ პიროვნებაზე მორგებას, ვიზეც ხდება კალიბრაცია.

უფრო მეტად ზუსტი კალიბრაციის მისაღწევად გააკეთეთ შემდეგი:

- კალიბრაციის დაწყებამდე 30 წუთის განმავლობაში არ მიიღოთ ალკოჰოლი ან კოფეინი და არ მოწიოთ, არ ივარჯიშოთ ან არ მიიღოთ აბაზანა.
- დარწმუნდით, რომ თქვენი ხელი და მაჯა არის მშრალი და არ არის ოფლიანი ან დაფარული რაიმე სახის კანის ლოსიონით.
- მოახდინეთ კალიბრაცია შენობაში, ჩუმ ადგილას.
- დადგით კომფორტული სკამი მაგიდასთან.
- დაჯექით სკამზე და მიაყრდნით ზურგი საზურგეს მჭიდროდ, ფეხები არ გადააჯვარედინოთ და ტერფები დადგით ძირს სწორად.
- დაალაგეთ ხელის მტევნები და მკლავები მაგიდაზე მოსვენებით მდგომარეობაში.
- დაისვენეთ ამ მდგომარეობაში მინიმუმ 5 წუთის განმავლობაში სანამ დაიწყებთ კალიბრაციას.
- კალიბრაციის დაწყების შემდეგ იყავით წყნარად და არ იმოძრაოთ ან ისაუბროთ, სანამ ზედა მკლავის მანჟეტთან, ელექტრონული წნევის საზომი აპარატი ანხორციელებს გაზომვას.
- წნევის გაზომვის დროს ისუნთქეთ სტანდარტულად. არ შეეცადოთ ისუნთქოთ ღრმად ან ნელა.

თქვენი Galaxy Watch-ის კალიბრაციისათვის:

1. მოათავსეთ მანჟეტისანი, ელექტრონული წნევის საზომი აპარატი ზედა მკლავზე.
2. მოირგეთ სამსუნჯ Galaxy Watch მეორე ხელის მაჯაზე. დარწმუნდით რომ Galaxy Watch-ის სამაჯური მჭიდროდ არის დამაგრებული თქვენს მაჯაზე, მაგრამ არა ზედმეტად მოჭერილი.
3. მოათავსეთ თქვენი Galaxy სმარტფონი ან პლანშეტი მარტივად ხელმისაწვდომ ადგილას.
4. თქვენს Galaxy სმარტფონში გახსენით სამსუნჯის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაცია, აირჩიეთ სისხლის წნევის გაზომვა და მიჰყევით ეკრანზე გამოსულ ინსტრუქციას:
 1. დაიწყეთ ზედა მკლავის მანჟეტისანი, ელექტრონული წნევის საზომი აპარატით წნევის გაზომვა.
 2. Galaxy Watch-ით წნევის გაზომვა დაიწყება ავტომატურად.

3. შეიყვანეთ ზედა მკლავის მანჟეტის მანქანა, ელექტრონული წნევის საზომი აპარატის მიერ ნაჩვენები მონაცემები სმარტფონში, სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციის შესაბამის ველში.
4. გაიმეორეთ A-დან C ნაბიჯამდე ოპერაცია კიდევ ორჯერ (ჯამში 3 გაზომვა) რათა დაასრულოთ Galaxy Watch-ის კალიბრაცია.

შენიშვნა: დარწმუნდით რომ თქვენ დაასრულეთ კალიბრაციისთვის აუცილებელი გაზომვები პირველი გაზომვიდან 30 წუთის განმავლობაში. იმისათვის, რომ თქვენს Galaxy Watch-ს ჰქონდეს მუდამ სწორი კალიბრაცია აუცილებელია მისი კალიბრაციის ყოველ 28 დღეში ერთხელ გამეორება. ასევე შესაძლებელია Galaxy Watch-ის ნებისმიერ დროს კალიბრაცია სისხლის წნევის მენიუში შესაბამისი ფუნქციის არჩევით.

5.2 სისხლის წნევის გაზომვა Galaxy Watch-ის გამოყენებით

მას შემდეგ რაც თქვენ განახორციელეთ თქვენი Galaxy Watch-ის კალიბრაცია ზედა მკლავის მანჟეტის, ელექტრონული წნევის საზომი აპარატით, თქვენ მზად ხართ გამოიყენოთ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია თქვენი სისხლის წნევის გაზომვისათვის. თქვენ აღარ დაგჭირდებათ ზედა მკლავის მანჟეტის, ელექტრონული წნევის საზომი აპარატი მომდევნო კალიბრაციამდე 28 დღეში.

შენიშვნა: მას შემდეგ რაც თქვენ განახორციელეთ თქვენი Galaxy Watch-ის კალიბრაცია, თქვენ აღარ გჭირდებათ ზედა მკლავის მანჟეტის, ელექტრონული წნევის საზომი აპარატი როდესაც თქვენ გამოიყენებთ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციას Galaxy Watch-ით.

იმისათვის რომ მეტად ზუსტად გაზომოთ სისხლის წნევა გააკეთეთ შემდეგი:

- მოირგეთ თქვენი Galaxy Watch იამვე მაჯაზე, რომელზეც გეკეთათ კალიბრაციის დროს და დარწმუნდით, რომ სამაჯური მჭიდროდ არის დამაგრებული თქვენს მაჯაზე, მაგრამ არა ზედმეტად მოჭერილი.
- სისხლის წნევის გაზომვის დაწყებამდე 30 წუთის განმავლობაში არ მიიღოთ ალკოჰოლი ან კოფეინი და არ მოწიოთ, არ ივარჯიშოთ ან არ მიიღოთ აბაზანა.
- დარწმუნდით, რომ თქვენი ხელი და მაჯა არის მშრალი და არ არის ოფლიანი ან დაფარული რაიმე სახის კანის ლოსიონით.
- მოახდინეთ გაზომვა შენობაში, ჩუმ ადგილას.
- დადგით კომფორტული სკამი მაგიდასთან.
- დაჯექით სკამზე და მიაყრდნით ზურგი საზურგეს მჭიდროდ, ფეხები არ გადააჯვარედინოთ და ტერფები დადგით ძირს სწორად.
- დაალაგეთ ხელის მტევნები და მკლავები მაგიდაზე მოსვენებით მდგომარეობაში.
- დაისვენეთ ამ მდგომარეობაში მინიმუმ 5 წუთის განმავლობაში სანამ დაიწყებთ გაზომვას.
- გაზომვის დაწყების შემდეგ იყავით წყნარად და არ იმოძრაოთ ან ისაუბროთ, სანამ Galaxy Watch ანხორციელებს გაზომვას.
- წნევის გაზომვის დროს ისუნთქეთ სტანდარტულად. არ შეეცადოთ ისუნთქოთ ღრმად ან ნელა.

► სისხლის წნევის გაზომვისათვის

1. დააჭირეთ **გაზომვის** ღილაკს Galaxy Watch-ზე
2. თუ გაზომვამ წარმატებით ჩაიარა, სისხლის წნევის სისტოლიკური და დიასტოლიკური მაჩვენებლები გამოჩნდება Galaxy Watch-ის ეკრანზე. ქვემოთ შეგიძლიათ ნახოთ თქვენი სისხლის წნევის გაზომვების ისტორია.

თუ გაზომვა ვერ მოხერხდა (მაგალითად იმიტომ რომ თქვენ გამოძრავდით ან სიგნალი არ იყო საკმარისად ძლიერი) Galaxy Watch-ის ეკრანზე გამოვა ხარვეზიანი გაზომვის შეტყობინება.

6. თქვენი სისხლის წნევის გაზომვების ისტორიის ნახვა

თქვენ შეგიძლიათ ნახოთ თქვენი სისხლის წნევის გაზომვების ისტორია თქვენს Galaxy Watch-ზე და თქვენს Galaxy სმარტფონში.

6.1 თქვენს Galaxy Watch-ში

მას შემდეგ რაც თქვენი Galaxy Watch წარმატებით გაზომავს თქვენს სისხლის წნევას, Galaxy Watch-ის ეკრანზე გამოისახება შემდეგი რეზულტატები:

- სისტოლიკური სისხლის წნევა (BP)
- დიასტოლიკური სისხლის წნევა (BP)
- გულის ცემის სიხშირე (პულსი)



გაფრთხილება

ნუ შეცვლით მედიკამენტებს ან დოზებს სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციის მიერ ნაჩვენებ შედეგებზე დაყრდნობით. ყოველთვის გაიარეთ კონსულტაცია თქვენს ექიმთან.

6.2 თქვენს Galaxy სმარტფონზე

თქვენს Galaxy Watch-სა და Galaxy სმარტფონს შორის ბლუთუს კავშირის დამყარების შედეგად, თქვენი გაზომვების მაჩვენებლები სინქრონიზდება სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციასთან თქვენს Galaxy სმარტფონში. თქვენ შეგიძლიათ გაუზუაროთ ეს ინფორმაცია თქვენს ექიმს კონსულტაციის მისაღებად.

► ტელეფონში სისხლის წნევის გაზომვების ისტორიის სანახავად

გახსენით სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაცია და აირჩიეთ სისხლის წნევის ბარათი ისტორიის სანახავად.

შენიშვნა: ის, თუ რამდენი რეზულტატის შენახვა შეუძლია თქვენს Galaxy სმარტფონს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოცულობის მეხსიერება აქვს თქვენს Galaxy სმარტფონს.

7. უსაფრთხოება და მაჩვენებლები

სამსუნგის სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია იქნა შემოწმებული 85 სუბიექტისათვის სისხლის წნევის გაზომვაში კალიბრაციიდან 30 წუთის შემდეგ და მისი შედეგები იქნა შედარებული ზედა მკლავის მანუეტის, ელექტრონული წნევის საზომი აპარატის შედეგებთან ორი პროფესიონალი სამედიცინო ექსპერტის მიერ. შედეგების შედეგები ასე გამოიყურება:

- სისტოლიკური სისხლის წნევის ცდომილება -0.11 mmHg (სტანდარტული გადახრა 7.46 mmHg) და
- დიასტოლიკური სისხლის წნევის ცდომილება -0.28 mmHg (სტანდარტული გადახრა of 5.85 mmHg).

ეს კვლევები ჩატარდა ISO 81060-2 მოდიფიცირებული სისხლის წნევის სტანდარტის პროტოკოლის დაცვით და სქესის, მაჯის გარშემოწერილობის, კანის პიგმენტაციისა და სისხლის წნევის დიაპაზონის სათანადო გამოსახვით. სამსუნგის სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციამ აჩვენა, რომ მისი მაჩვენებლები საკმარისად სანდოა მოწყობილობის მიერ არადიაგნოსტიკური სისხლის წნევის გაზომვების გამოყენების მიზნით, რომლის მაჩვენებლებზე დაყრდნობითაც მომხმარებელი არ აპირებს კლინიკური მოქმედებების განხორციელებას კვალიფიციური ჯანდაცვის სპეციალისტთან კონსულტაციის და სტანდარტული გაზომვის მეთოდის გარეშე.

შენიშვნა: დაფუძნებულია ერთი კლინიკური გამოკვლევების ცენტრის შედეგებზე 2019 წლის ივლისისა და 2019 წლის ოქტომბერს შორის. კლინიკური ცენტრი იყო პასუხისმგებელი დაედგინა სისხლის წნევის გაზომვის სიზუსტე. 22 წლამდე ასაკის პაციენტები არ იქნენ დაშვებული კვლევაზე.

8. ხარვეზების აღმოფხვრა

თუ თქვენ წაწყდით პრობლემას სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციის გამოყენებისას, გადახედეთ ქვემოთ მოცემულ სიას პრობლემების სავარაუდო მოგვარების გზებით: .

პრობლემა: მე ვერ ვპოულობ სისხლის წნევის ფუნქციას ჩემს Galaxy Watch-ში.

გამოსავალი:

- დარწმუნდით, რომ თქვენი Galaxy Watch სისხლის წნევის აპლიკაციასთან თავსებადია. სისხლის წნევის აპლიკაცია საჭიროებს Galaxy ტელეფონს Android 9 Pie-ით ან უფრო ახალი ვერსიით. შეამოწმეთ საიტზე <https://www.samsung.com/sec/apps/samsung-health-monitor> მაჯის საათის თავსებადი მოდელები და ქვეყანა/რეგიონი, სადაც მომსახურება ხელმისაწვდომია.
- თუ თქვენი Galaxy Watch თავსებადია, განახლეთ ის უკანასკნელ ვერსიამდე Galaxy Wearable აპლიკაციის გამოყენებით. განახლების წარმატებით დაყენების შემდეგ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია უნდა გამოჩნდეს Galaxy Watch-ში.

პრობლემა: მე ვერ ვრთავ სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციას ჩემს სმარტფონში.

გამოსავალი:

- დარწმუნდით რომ თქვენ შეიძინეთ სმარტფონი ისეთ ქვეყანაში, სადაც სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია ხელმისაწვდომია.

- დარწმუნდით რომ თქვენ დააყენეთ და გაააქტიურეთ სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაცია (პროფილის შექმნით და პირობებზე და კონფიდენციალურობის პოლიტიკაზე თანხმობით) ისეთ ქვეყანაში, სადაც სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია ხელმისაწვდომია.
- დარწმუნდით რომ გაააქტიურეთ ინტერნეტ კავშირი სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციის დაყენების და სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციის გააქტიურების დროს.

პრობლემა: მე ვერ ვხედავ სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციას.

გამოსავალი:

- დარწმუნდით რომ დააყენეთ პროფილი დაკავშირებული სმარტფონის სამსუნგის ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციაში. იხილეთ “სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციის პროფილის დაყენება Galaxy სმარტფონში” “5.1 სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციის დაყენება”.
- დარწმუნდით რომ თქვენ წარმატებით განახორციელეთ Galaxy Watch-ის კალიბრაცია ზედა მკლავის მანჟეტის, ელექტრონული წნევის საზომი აპარატის მეშვეობით. იხილეთ “5.1.1 Galaxy Watch-ის კალიბრაცია”.
- თუ თქვენ უკვე განახორციელეთ Galaxy Watch-ის კალიბრაცია, დარწმუნდით რომ კალიბრაციას ვადა არ გასვლია. გაითვალისწინეთ რომ ყოველ 28 დღეში აუცილებელი ახალი კალიბრაციის გაკეთება. შეამოწმეთ კალიბრაციის სტატუსი სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციის მენიუში Galaxy სმარტფონიდან ან Galaxy Watch-დან.

პრობლემა: მე ვერ ვანხორციელებ სისხლის წნევის გაზომვას წარმატებით.

გამოსავალი:

- დარწმუნდით, რომ სამაჯური მჭიდროდ არის დამაგრებული თქვენს მაჯაზე (არა ზედმეტად მოჭერილი). Galaxy Watch-ის ქვედა ზედაპირი უნდა ეხებოდეს კანს, მაგრამ ამას არ უნდა ახლდეს დისკომფორტის შეგრძნება.
- დარწმუნდით, რომ სისხლის წნევის გაზომვის დროს თქვენ ზიხართ წყნარად და მოშვებულად, და ორივე ფეხის ტერფით სწორად ეხებით იატაკს.
- დარწმუნდით რომ თქვენ არ ამოძრავებთ ხელს, ან საუბრობთ სისხლის წნევის გაზომვისას.
- სისხლის წნევის გაზომვისას ხელი, რომელზეც გიკეთიათ Galaxy Watch, დადეთ მაგიდაზე მოსვენებით მდგომარეობაში.
- დარწმუნდით, რომ თქვენი ხელი და მაჯა არის მშრალი, არ არის ოფლიანი და კანის ზედაპირზე არ არის დატანილი კანის ლოსიონი.
- თუ თქვენი ხელი გაცივდა, მოიხსენით Galaxy Watch და გაიზილეთ მაჯა ნაზად მის გასათბობად. მოირგეთ Galaxy Watch და ახლიდან სცადეთ წნევის გაზომვა.
- სისხლის წნევის გაზომვის ფუნქცია იყენებს Galaxy Watch-ის სენსორის მიერ გამოცემულ სიგნალებს და სჭირდება კარგი ხარისხის სიგნალი ზუსტი სისხლის წნევის გამოსათვლელად. სიგნალის ხარისხზე ისეთმა ფაქტორებმა შესაძლოა იქონიოს უარყოფითი ზეგავლენა, როგორცაა საათის სენსორის დაბინძურება ან გასაზომი არეალის ოპტიკური თავისებურებები.

პრობლემა: მე ვღებულობ არანორმალურად მაღალ ან დაბალ სისხლის წნევის მაჩვენებლებს.

გამოსავალი:

- თუ თქვენ გაქვთ უჩვეულო სიმფტომები ან ფიქრობთ რომ საჭიროებთ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით თქვენს ექიმს ან ლოკალურ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისებს.
- თუ თქვენ ფიქრობთ, რომ არ გჭირდებათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, განახორციელეთ სისხლის წნევის გაზომვა მინიმუმ კიდევ 2-ჯერ და მიჰყევით ინსტრუქციას მანამ, სანამ დაიწყებთ გაზომვას:
 - არ მიიღოთ კოფეინი ან ალკოჰოლი გაზომვამდე 30 წუთის განმავლობაში.
 - არ მოწიოთ, არ ივარჯიშოთ და არ მიიღოთ აბაზანა გაზომვამდე 30 წუთის განმავლობაში.
 - დაისვენეთ ჩუმ და წყნარ გარემოში მინიმუმ 5 წუთის განმავლობაში სანამ დაიწყებთ გაზომვას.
 - დარწმუნდით რომ გაზომვის დროს არ განიცდით ზედმეტ სტრესს ან შფოთვას.
- თუ თქვენ მაინც მიიღებთ არანორმალურ წნევის მაჩვენებლებს, დაუკავშირდით თქვენს ექიმს ან მიმართეთ ლოკალურ გადაუდებელი სასწრაფო დახმარების სერვისებს.

პრობლემა: მე ვერ ვახერხებ Galaxy Watch-ის სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციის მონაცემების სინქრონიზაციას Galaxy-ის სმარტფონის სისხლის წნევის გაზომვის ფუნქციის მონაცემებთან.

გამოსავალი:

- დარწმუნდით, რომ თქვენი Galaxy Watch დაკავშირებულია Galaxy სმარტფონთან ბლუთუთის Galaxy Wearable აპლიკაციის გამოყენებით.
- დარწმუნდით, რომ თქვენ იყენებთ იგივე Galaxy სმარტფონს, რომელიც გამოიყენეთ პროფილის შექმნის და Galaxy Watch-ის კალიბრაციის დროს.
- დარწმუნდით, რომ თქვენს Galaxy სმარტფონში ხელმისაწვდომია მინიმუმ 100MB თავისუფალი შიდა მეხსიერება.